# ივერია

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1893



ტფილისის სიონის საკრებულო ტაძრის **მღვდელი ანტონ მაქსიმეს ძე თოთიბაძე და მეუღლე მისი ნატალია ლუკას ასული** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ძისა მათისა **ალექსანდრესას** და სთხოვენ მობრძანდნენ ოთხშაბათს, 12 მაისს, ნაშუადღევის სამ საათზედ მიცვალებულის გამოსასვენებლად საეპარქიო სანთლის ქარხნის სახლებიდგან კუკიის სასაფლაოზედ. პანაშვიდები 12 და 7 საათზედ.

(2—2)

**ქვრივი გენერალ-მაიორისა ნინა ზაქარიას ასული მარკოზოვისა, ტერეზია ხრისტაფორის ასული მარკოზოვისა და ანნა ივანეს ასული სლინკო,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებასა პირველი შვილისას, მეორე მეუღლისას და მესამე ძმისას **ალექსანდრე ივენეს ძე მარკოზოვისას,** უმორჩილესად სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ პატივი სცენ და მობრძანდნენ მიცვალებულის განსვენებაზე 14 ამა მაისს, პარასკევს 10 საათზედ დილით. ძველი ბებუთოვის ქუჩა, სახლი № 26, ამიროვისა. ქაშუეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში. პანაშვიდი 12 და 13 მაისს სალამოს შვიდს საათზედ.

წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს რომ ამხანაგობის საზოგადო კრება დანიშნულია შაბათს, 15 მაისს,, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, სალამოს 7 საათზე. განსახილველი საგნები:

1. ანგარიში „ქართველთა ამხანაგობის“ მოქმედებისა 1892 წელსა.
2. მოხსენება სარევიზიო კომმისიისა 1892 წ. ანგარიშის შესახებ.
3. სავარაუდო ანგარიში (სმეტა) შემოსავლისა და გასვლისა 1893 წ.
4. სარედაქციო კომმისიის მოქმედების ანგარიში 1892 წ.
5. მოხსენება გამგეობისა შესახებ სტამბის გასაუმჯობესებლად მანქანებისა და სხვა მოწყობილობის შეძენისა.
6. მოხსენება გამგეობისა შესახებ შრიფტის ჩამოსასხმელ ქარხნის დაარსებისა.
7. განხილვა ამხანაგობის პირობის წერილის ზოგიერთა შესაცვლელ მუხლთა.
8. არჩევანი ამხანაგობის გამგესი, ამართველობის ორი წევრისა, ხაზინადარისა და მდივნისა.
9. არჩევანი სარედაქციო კომმისიის ხუთის წევრისა და სარევიზიო კომმისიის სამის წევრისა.

ამხანაგობის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს წევრთ: 1) ვისაც ჰსურს კრებას წარუდგინოს განსახილველად რაიმე წინადადება, გამოუგზავნოს იგი გამგეობას მაისის ცამეტამდე; 2) ვისაც ყრილობაზე დასწრება არ შეუძლია, გამოუგზავნოს გამგეობას: ა) სია კანდიდატთა ზემოდ დასახლებულ თანამდებობაში ჩასაყენებლად და ბ) რწმუნების წერილი ქალაქში მცხოვრებ რომელისამე წევრის სახელზე.

არა წევრთ კრებაზე დასწრება აღეკრძალებათ. (3—2)

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 12 მაისს,

სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში ქართულ თეატრის აქტიორებისაგან წარმოდგენილი იქნება

**კ ი ნ ტ ო**

კომედია 3 მოქმედებად, თხზ. აკაკი წერეთლისა

II

**ბაზაზი შკაფში**

ვოდევილი 1 მოქმედებად

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი სარიძისა, რჩეულოვისა; ბ-ნნი შათირიშვილი, მჭედლიშვილი, ადამიძე, საფაროვი, თამაზიშვილი და სხ.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

შაბათს, 22-ს მაისს, სალამოს 7 საათზედ, ქუთაისის სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში (въ залѣ Кутаис. Депут. Собранія) დანიშნულია საზოგადო წლიური კრება **„წიგნების გამომცემელ ქუთაისის ამხანაგობისა“**

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) განხილვა და დამტკიცება 1892 წლის ანგარიშისა.

ბ) განხილვა მდგომარე 1893 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

გ) მოხსენება გამგეობისა შესახებ იმ წევრთა, რომელთაც წილის ფული სრულად არ შემოუტანიათ.

დ) განხილვა სხვა და სხვა თხოვნისა და წინადადებისა.

ე) განაწილება წმინდა მოგებისა.

ვ) არჩევა ახალ წევრებისა.

ზ) არჩევ აადმინისტრატორისა, ხაზინადრისა და მდივნისა.

(3—1)


ტფილისი, 11 მაისი

ჩვენ არა გვშურს არც გერმანელების სიკეთე და არც მეკომურთა, ღმერთმა უფრო მეტიც მისცეთ, მაგრამ ამასთანავე არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ სამართლიანობა და თვით სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს სიკეთე და სიუხვე ყველას ერთგვარად მოეფინოს, არავინ დაიჩაგროს, თორემ რასა ჰგავს, ერთი ყელამდინ სავსე იყოს, მეორე, მისი მეზობელი-კი, წელებზე ფეხს იდგამდეს და მაინც სულს ვერ იბრუნებდეს. გლეხ-კაცობა, მიწის მუშაკი, პირველი მომცემი ძალაა და დაუშრეტელი წყარო სახელმწიფო ხაზინისათვის. ერთი გაასუქო, გაამდიდრო და მეორე-კი დააუძლურო—არაფერი საქმეა: ასეთი წესი და რიგი პირდაპირ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ინტერესს. ამ გვარი უსამართლობა მით უფრო ცხადია, რომ გლეხი, მეკომურია იგი, საბატონო, თუ გერმანელი, ერთნაირად იხდის სახელმწიფო გარდასახადს და, მაშასადამე, სრული უფლება აქვს მოითხოვოს, თანასწორად იზრუნონ ყველასთვის და გარჩევა არ იყოს.

ზემო ნათქვამიდან აშკარადა სჩანს, რომ როგორც სამართლიანობა, აგრეთვე სახელმწიფო ინტერესები მოითხოვს ეხლავე და დაუყოვნებლივ დაეხმაროს მთავრობა ნაყმევ გლეხს, უზრუნველ ჰყოს მისი მდგომარეობა მამულის მხრივ და მით მისცეს საშუალება პირნათლად გამოვიდეს, როგორც სახელმწიფოს, აგრეთვე ქვეყნის წინაშე. საღსარი ამის ქმნად, რასაკვირველია, ერთად-ერთია: მიეზომოს უმამულო კაცს თავისუფალი სახელმწიფო მამულები, საცა-კი მოიპოვება და გარეშეს ნუღარ შემოუშვებს, რადგან შინაც დიდი გაჭირვებაა.

ასეთის მოქმედებისათვის ეხლა სწორედ შესაფერი დროა. ერთის მხრივ, ტფილისში მუშაობს უმაღლესად დაარსებული კომისია ბ-ნ მედვედევის თავმჯდომარეობით დ, მეორეს მხრივ, აპირებენ შავის ზღვის ნაპირების დასახლებას, სადაც ნახევარ მილიონი დღიური მიწა მუშაკს ელის.

წინადაც მრავალჯერ გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, რომ ეს თავისუფალი ადგილები ჩვენებურის კაცისთვის უფრო უპრიანია, ვიდრე სხვისთვის. ესეც რომ არ იყოს, უცხოეთიდან მოსული კაცი აგრე ადვილად ვერ შეითვისებს ახალ ბუნებას, ჰავას, ვერ იხეირებს და ამიტომ, სარგებლობის მაგიერ, მთავრობას ზარალს მოუტანს, რადგან მუდამ ხელით სათრევი და საზრუნავი გახდება.

სულ სხვაა ჩვენი კაცი. შეჩვეული ადგილობრივ კულტურას, მალე ფეხს მოიკიდებს და ათითხუთმეტის წლის შემდეგ შავი ზღვის აღმოსავლეთის უდაბური ნაპირი აყვავდება და სამოთხედ გადაიქცევა. მთავრობაც, რასაკვირველია, დიდ ხეირს ჰნახავს; პოლიტიკურის მხრითაც ქართველი სანდოა, რადგან თვისი ერთგულება ხელმწიფე იმპერატორის წინაშე ათი-ათასჯერ დაუმტკიცებია.

ბ-ნ მედვედევის კომისიას აზრადა აქვს გააუმჯობესოს სახელმწიფო გლეხთა მდგომარეობა. სახელმწიფო გლეხთა ვითარების შესასწავლად თითქმის სამი წელიწადი (1884—1886) იმუშავეს განსაკუთრებულმა მოხელეებმა და დიდი მასალაც შეჰკრიბეს. მასალა დაიბეჭდა, თავი მოუყარეს და აღმოჩნდა, რომ ზოგს ბევრი მამული უჭირავს, ზოგს—მცირე და ზოგს სულაც არა უჭირავს-რა. აი სწორედ ამ ძვირფასის მასალით იხელმძღვანელებს კომისია და სამართლიანად გაანაწილებს მამულს გლეხთა შორის, რადგან მთავრობისავე აზრით, დიდი უსამართლობაა, რომ ერთსა და იმავე სოფელში, მეზობელთა შორის, უთანასწორობა იყოს.

ასეთი მდგომარეობა სწორედ საშიშია. სახელმწიფოსთვის ყველანი ერთნი არიან, მაგრამ ყველანი ერთგვარად არ უფლობენ სახელმწიფო ქონებას; სარწმუნოებაც ერთი აქვთ და ვერ შეურიგდებიან იმ წესს, რომელიც ერთს რომელსამე ჯგუფს ანიჭებს უპირატესობას. ამისათვის, რაც მალე მოისპობა ასეთი უსწორ-მასწორობა, მით უფრო სანატრელია და სასურველი.

ასეთია მთავრობის აზრი. ამ სამართლიან მოსაზრებას ჩვენ ვეღარას მივუმატებთ, რადგან სულითა და გულით ვისურვებთ მაგ პრინციპის უნაკლულოდ განხორციელებას. უნაკლულოდ-კი ვერ განხორციელდება, თუ მხედველობაში არ მიიღეს საბატონო გლეხის მდგომარეობა, რომელსაც ამ ჟამად აღარც საკმარისი მამული აქვს, არც საძოვარი და აღარც ტყე. თუ ეხლაც სახაზინო გლეხებთან ერთად არ მოაწყეს რიგიანად ნაყმევის ბედიც, შემდეგ, როდესაც თავისუფალ ადგილებს დაანაწილებენ, დიდი სურვილიც რომ ჰქონდეთ, ვეღარას უშველიან გამწვავებულ საქმეს.

თუ ეხლა სამი ათასი კომლი კაცია უმამულო, ამ ათის წლის შემდეგ, სამი ათასი კიდევ მიემატება. თუ მეტი არა, და აი ამოდენა უმრავლესობას სახლ-კარი დაექცევა, ტაბარუკ-ბოგანოებად გადიქცევა და მოჯამაგირობის გზას დაადგება. მოჯამაგირობის გზა-კი ერის ეკონომიურს ცხოვრებაში ყოვლად უვარგისია და დამღუპველი.

ა. ფრონელი

# ახალი ამბავი

*** † წარსულ კვირას გარდაიცვალა ტფილისში ჰლექით ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ახალგაზდა მოსწავლე ყმაწვილი კაცი, მესამე კურსის სტუდენტი ს.-პეტერბურგის სამხედრო-სამკურნალო აკადემიისა ნიკოლოზ სვიმონის ძე ქიქოძე. განსვენებულმა, როგორც ბევრმა სხვამაც ჩვენის ქვეყნის ახალგაზდებმა, ვერ აიტანა სასტიკი ჰავა ჩრდილოეთისა და უკურნებელმა სენმა დაატოვებინა უმაღლესი სასწავლებელი. შარშან მაისს დაბრუნდა საქართველოში და მას უკან ავადმყოფობის გამო ვეღარ შესძლო კვლავ წასვლა პეტერბურგს სწავლის დასამთავრებლად. სენი თან და თან მოერია და ერთის წლის ავადმყოფობის შემდეგ განჰქრა სიცოცხლე ახალგაზდა კაცისა, რომელიც სავსე იყო იმედებით და ქვეყნის სამსახურის სურვილით.

განსვენებული სტუდენტი იყო შვილი შარშან გარდაცვლილის ბათუმის დეკანოზის სვიმონ ქიქოძისა.

მიცვალებული დაასაფლავეს ნიკოლოზობას, თავის სახელწოდების დღეს, კვირას, 9 მაისს, წმ. დავითის ეკკლესის გალავანში. ანდერძის აგების შემდეგ მამა-დავითის მღვდელმა ნ. მაჭარაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა დ სთქვა, სხვათა შორის:... „განსვენებულმა არ დაზოგა თავისი ძალა დ ღონე, რომ სასარგებლო მამულიშვილი გამოსულიყო, რომელმაც არ შეხედა არაფერ დაბრკოლებებს, არც მანძილის სიშორეს, არც სამშობლოს დაშორებას, არც მკაცრ გაყინულ და აუტანელ ჰაერს, წავიდა სხვა ქვეყანაში, შორს, რომ მაღალი განათლება მიეღო, რომ მეცნიერულის იარაღით აღჭურვილიყო და მით ერთი სასარგებლო, საღის ჭკუა გონებით შემკული შვილი მოსვლოდა თავის სამშობლოს ერთგულ და პატიოსნურ სამსახურისთვის, მაგრამ ნაცვლად ყველა ამისა მან იპოვა იქ საშინელი სენი, კაცობრიობის განმაჩანაგებელი, რომელმაც გადასცა ეს ახალგაზრდა კაცი ულმობელ დ დაუნდობელ სიკვდილს ხელში. გარდაიცვალა ცხოვრებისგან განუხარებელი ამ ქვეყნად ეს ნორჩი კაცი და ყოველი მისი კეთილი აზრები, მისწრაფებანი, იმედები და სურვილები დაიკარგა მასთანვე, შეუსრულებელი, განუხორციელებელი ჩაჰყვა ცივ სამარეში. ჩაუარა ამაოდ ძვირფასმა შრომამ, არ დაუფასდა ტანჯვა, წვალება, თავგანწირულობა, სწავლის დროს გამოვლილი.

„სამწუხარო სურათია ჭეშმარილად, სწორედ სატირელია და საგოდებელი. რას ეძიებდა იქ და დახე, რა ჰპოვა?!

„განათლებულსა დ დიდს ქვეყნებშიც ყველასათვის სამწუხაროა სიკვდილი ამ ნაირთა პირთა; ჩვენში ხომ, სადაც თითქმის თითებით ჩამოსათვლელია მაღალ განათლების კაცნი კარგის მიმართულებით, დიდი და ყოვლად დიდი დანაკლისია ამ ნაირის კეთილ საიმედო ახალგაზდას დაკარგვა.

„რასაკვრელია, ჩვენ ყველინი ვწუხხართ უდროოდ ამ ნიჭერ და თავდაუზოგველ ახალგაზდა კაცის დაკა-

რგვეს, მაგრამ ბევრად მწარეა მწუხარება მისის მშობლისა და ძმებისა. დიდი მწუხარება გეწვია, საბრალო დედავ, ამ სიბერის დროს. ჯერ ცრემლი არ შეგშროდა თვალზე ძვირფასის ქმრის დაკარგვით და ზედ კიდევ ეს დიდი უბედურება დაგერთო"...

დასასრულ მოძღვარმა ანუგეშა ქრისტიანებრივის ნუგეშით გამწარებული მშობელი, და-ძმანი და ნათესავნი განსვენებულისა და ისურვა საუკუნო განსვენება მისის სულისათვის, რომელიც ასე ეტანებოდა ამ ქვეყნად „ნათელსა ჭეშმარიტსა".

საუკუნოდ იყოს ხსენება ახალგაზრდასი, რომელმაც თავი დასდო მეცნიერებისა უმაღლესის სწავლა-განათლების შეძენისათვის!

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ნ. ვ. ლოლობერიძესა და ა. მ. ჭყონიას თხოვნა მიუციათ მთავრობისათვის ნება დაგვრთეთ ყოველ თთვიურის ქართულ ჟურნალის გამოცემისაო, სახელით „მოამბე".

*** ტფილისის მესამე გიმნაზიის პირველ კლასში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 26 და 27 მაისს, მოსამზადებელ კლასის შეგირდების ეგზამენების დროს.

*** აგრეთვე ქუთაისის გიმნაზიაშიც 1 კლასში მისაღები ეგზამენები დანიშნულია მოსამზადებელ კლასის შეგირდებთან ერთად 27, 28 და 29 მაისს.

*** ტფილისის ოლქის სასამართლომ ბ-ნ ბიკოვის თავმჯდომარეობითა და ბ-ნთ ბებუთოვისა და ბუტენკოს თანადასწრებით განიხილა თხოვნა ნ. ი. ამატუნისა, რომელიც გამომძიებელმა დანილოვმა დააპატიმრა. სასამართლომ ამატუნის თხოვნა შეიწყნარა და გადასწყვიტა, განთავისუფლებულ იქმნას ციხიდგან, ხოლო 30,000 მან. თავდები უნდა წარუდგინოს სასამართლოს.

*** სტასტიკურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ერთის წლის განმავლობაში მთელ რუსეთში 1,736 კაცმა თავი მოიკლა, 2,401 მკვლელობა მოხდა და 763 შვილის მოკვლა.

*** შედგენილია პროექტი, რომლის ძალითაც სახელმწიფო რკინის გზაზედ მოსამსახურე ქალებსაც პენსია მიეცემათ. ხოლო თუ გათხოვდნენ, პენსიის უფლება დაეკარგებათ.

*** 10 მაისს ამიერ კავკასიის რკინის გზაზედ ორი უბედურებ ამოხდა. ბათუმის ახლოს მატარებლიდგან გადმოვარდა კონდუქტორი სპირიდონ კოტოვი, მატარებელს ქვეშ მოჰყვა და თვლებმა მარჯვენა ფეხი მოჰგლიჯა.

*** იმავე დღეს აგტაგლიასა და ყარაიაზის შუა მატარებლიდგანვე გადმოვარდა მემაშინეს თანაშემწე პეტრე მეხაური; მატარებელს ქვეშ ჩავარდა და ისე ძლიერ დაშავდა, რომ იქვე სული დალია.

*** გუშინ წინ, 10 მაისს, რკინის გზით ბაქოში გაატარეს 243 ფუთი ვერცხლი; ეს ვერცხლი სპარსეთს მიაქვთ.

*** ჩვენ მივიღეთ კახეთში დამშეულთათვის ექიმის გ. ტ—საგან 20 მან., ქუთაისში შეკრებილი 12 მ. და აბაშაში ვლადიმ. კოჩინევის მიერ—12 მ. 25 კ. ამ ფულისა აქამდე იყო 78 მან. სულ შესდგა 122 მან. 25 კ.

*** ეჩმიაძინის სინოდმა თავის საკუთარ ფულიდგან გადასდო 11,000 მან. ერევნის გუბერნიის გლეხებისთვის პურის სასყიდლად (Н. О.).

*** 9 მაისს სოლოვიევმა პოლიციაში მიიყვანა ორის კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი და გამოაცხადა, ბავშვი გრიბოედოვის ქუჩაზე ვიპოვნეთ ჭავჭავძისადგურთანაო. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზანეს.

*** გუშინ წინ, 10 მაისს, ავლაბარში ვლადიმერ წერეთელს ხელში ეჭირა რეველვერი და უცაბედად გავარდნია. ტყვია მოხვედრია შუბლში ფანჯარაში მდგომს ელისაბედ ვარშაკიძისას. რაგანაც შორს ყოფილა, ტყვიას ძალა ვერ მიუტანია და შუბლი ოდნავ გაუფხაჰნია.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

არა ნაკლებ საყურადღებოა დასასრული ბ-ნ ნ. ნიკოლაძის წერილისა ტფილისის საკრედიტო საზოგადოების საქმეთა შესახებ. ჩვენ გავაცანით მკითხველს მხოლოდ მისი დასაწყისი. ახლა გიამბობთ, რას ამბობს ავტორი წერილის ბოლოს.

უმთავრესი ხასიათი ქარაფშუტა კაცებისაო, ამბობს ბ-ნი ნიკოლაძე, ის არის, რომ იმათ არც თავისი პატივისცემა იციან, არც საზოგადოებისა: რა კი უმრავლესობა გაუნათლებელია, გულ-დანდობილი, სჯერა, ვინც რას ეტყვის, არა ჰგონია, თუ მისი მოტყუება სწადიან ვისმე,—ქარაფშუტა და ჩიტი-რეკია კაცები ჰგონებენ, ვითომ სულ ასე იქნება და იმათ ოინებს ვერავინ ვერ გაიგებს, ვერავინ ვერ გამოაშკარავებსო.

სწორედ გიჟი უნდა იყოს კაცი, რომ ჰგონებდეს, ვითომ იმათ უკადრისობას, იმათ ოინებს ვერავინ მიხვდება. თუნდ უმრავლესობა რომ დაბრმავებულიც იყოს, მაინც მოღვაწემ, თუ თავისი პატივის-ცემა აქვს, თვალ-წინ უნდა იყოლიოს, ვითარცა პირუთვნელი მსაჯული, ამ უმრავლესობის შემდეგი ჩამომავლობა მაინც, რომელიც კარგა გაარჩევს, ვინ იყო მისი ჭეშმარიტი მოკეთე წინა მოღვაწეთა შორის. ასეც იქცევიან ყველა ისინი, ვინც ემსახურებიან საზოგადო სარგებლობის უმაღლეს ინტერესებს. პირველ ხანში ამისთანა კაცები მალიან ცოტანი არიან. უფრო ბევრნი არიან ამ დროს ისეთი კაცები, რომელნიც წუთიერს გამარჯვებას ეტანებიან თავიანთ კერძო, პირად სარგებლობისათვის. ამისთანა კაცებს არ შეუძლიანთ აიტანონ დამარცხება, მოითმინონ უსაქმოდ ყოფნა, ვიდრე მათი დროც მოვა, და გულ-დამშვიდებულნი იყვნენ უმცირესობასთან ერთად. რა-კი პატივსა სცემენ, არა უკეთესს წარმომადგენელთ საზოგადოებისას, არა შთამომავლობას, არამედ იმ უმრავლესობას, მისას, რომელიც გულში თვითონვე სძულთ, ჰგონებენ რომ დიდი უბედურება იქნება, უკეთუ ამ უმრავლესობამ დაგვსახა უღირსოებად, უსწავლებად, არარაობადაო. ამისთანა კაც ბატონებს აკაწყდებათ, ან იქნება არც-კი სცოდნიათ როდისმე, რომ ყოველივე, რაც-კი დიდებულია და ბრწყინვალე გაკეთებულა და შეუქმნია კაცობრიობას, გაკეთებულა და შეუქმნია იმათის წყალობით, რომელთაც არა ჰშინებიათ დამარცხებისა, არა ჰშინებიათ გაჭირვებისა და დროებით ულხინოდ ყოფნისა; იმათის წყალობით, რომელთაც თაყვანი უციათ არა წუთიერ გამარჯვებისათვის, არამედ სიმართლისა და სინათლის ღმერთისათვის.

ყოველი ამის დარდი არა აქვთ ოინბაზებს. იმათ წუთიერი გამარჯვება უნდათ, გამარჯვება თალლითი, მოჩვენებული, თვალით დასანახავი. რაც უფრო ძლიერია მათი მადა, პირადი ანგარიშიანობა, რაც უფრო უვიცია ქვეყანა, მით უფრო უკადრისი და შეუწყნარებელია ის ხერხი და ღონის-ძიება, რომელსაც მიჰმართავენ ხოლმე, რომ დააბრმავონ უმრავლესობა, თვალები აუბან და ისე ათამაშონ თავიანთ სურვილისამებრ. თუ პირველში ამ თვალების აბმით თვითონ არას გამოელიან, არას ეტანებიან, შემდეგ, ნელ ნელა გარემოებათა ლოღიკას თავისი გააქვს. გამარჯვება, უმრავლესობის მიერ მოწონება საჭიროებად გადაექცევათ ხოლმე. დგება ისეთი დროც, როცა ამისთანამ თუ არ გაიმარჯვა, დიდი სირცხვილი იქნება მისთვის, ვითომც სამარცხვინო ბოძზე გაგიკრავთ, ვითომც მოგიკლავთ.

აი ამ დროს ელაქუცებიან ამისთანა გმირნი უვიცებსა და უგუნურებს, ჰპირდებიან ყოველსავე ბედნიერებას, ოღონდ ჩვენი მხარე გეჭიროთ, ოღონდ ჩვენსკენ იყავითო. მეც სულ თქვენსკენ ვიქნები, თქვენსას არაფერს—დანაშაულსაც-კი—არ გავთქვამო. ასეთი ოინბაზობა იმითი სავალალო, რომ თვითვე ატარებს თავის გულში გამხრწნელსა და გამანადგურებელს ჭიას, რომ მისი ნიშანდობლივი თვისება—მიჰმართოს არა გონიერებას, არამედ ადამიანთა ქვენა გრძნობას, უღირს ინსტიქტებს ადამიანის ბუნებისას. ნელ-ნელა, თანდათან ამისთანა ოინბაზობას ზურგს აძრევს და ზიზღით შორდება ყოველივე, რაც წმინდა და პატიოსანია, ყოველივე, რაც გონიერია, რაც უანგაროა. ბოლოსა და ბოლოს ოინბაზობას ხელს გადასხვევს და მასთან ერთად, მხარ და მხარ იღვწის მხოლოდ მადა, კუჭი და მისი ჩხავილი. გარნა, რომელმაც აიღოს მახვილი, მახვილითვე წარწყმდეს. ისინი, ვინც ულაპამბდა თავის ამხანაგებს, თავის მომხრეებს მხოლოდ ანგარება-მოსილს გრძნობას, ქვენა და მდაბალ-გულის-თქმას, ადრე თუ გვიან თვითონვე მსხვერპლნი ხდებიან თავიანთ მიერვე გარეშემო დათესილის ღვარძლისა. მოძღვარნი და მთესველნი ტყუილისა და ღალატისა დიდი გულ-უბრყვილონი უნდა იყვნენ, რომ თავიანთი თავი უშიშარ-ყოფილნი ეგონოთ მათ მიერვე გამრავლებულ მოღალატეთა შორის.

ბოლოს ავტორი ამბობს, რომ ჰგონიათ ვითომ ეგრედ-წოდებული გაწათვა, გავარჯიშება დასისა, დისციპლინა ცუდი საქმე იყოსო. არა, ეს ცუდი-კი არა, კარგიაო. უდისციპლინოდ საზოგადო განვითარება შეუძლებელიაო. ცუდია არა გაწათვა, დისციპლინა, არამედ ისეთის დროშის აფრიალება დასის წინაშე, რომელზედაც საზოგადო სარგებლობა-კი არა სწერია, სწერია ყოველივე სიმდაბლე, კერძო ანგარიში, ქვენა სურვილი და მადა კუჭისა. აი ამ დროშას უნდა შევხედოთ და იმის მიხედვით, თუ ვის რა უწერია ზედ, გავარჩიოთ, ვინ არის მოღვაწეთა შორის ჩვენი მოკეთე და ვინ მტერი. უნდა გავარჩიოთ ისინი ერთმანეთისაგან იმითიც, თუ ვინ რა ხერხსა და ღონისძიებას ხმარობს თავის გამარჯვებისათვისაო.

კარგი ის მოღვაწეა, ვინც იღწვის, რომ ნათელი მოჰფინოს საქმეს, ვისაც შნო და უნარი აქვს

# ფელეტონი

## ცხოვრება და პოეზია თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა

(ვუძღვნი თავ. ნიკ. რევაზის ძეს ერისთავს).

(შემდეგი *)

### VII

Человѣку слѣдовало-бы жить 200 лѣтъ. Сто лѣтъ не много для того, чтобы достигнуть полной зрѣлости мышленія, совершенства формы, вѣрности взгляда и выраженія.

В. Гюго.

ბარათაშვილი მოკვდა 29 წლისა. ის იმ ბედნიერს ქვეყანაში არ იყო დაბადებული, საცა სულ ყოვლისფერი, რაც რამ შეუქმნია კაცობრიობას და საუკუნოებს, ჰომერიდამ დაწყებული ედისონამდის, თვალ-წინ გაშლილი აქვს მოზარდ თაობას, რომელსაც მარტო თვალი და ყური სჭირია, რომ პირველს ჰასაკშივე შეიძინოს გემოვნებაც, ზომიერებაც, ხელოვნებაც, ცნობაც, ის, რასაც ჩვენ ვიძენთ და ხშირად სულ არ ვიძენთ სრულს ჰასაკში, მოხუცებულობაში. ჩვენში 29 წლის კაცი ჯერ კიდევ ყმაწვილია. ჩვენი კულტურა ქუჩა-ქუჩა არ დადის და არ გვმოძღვრის ჩვენ, თვალ-ყურში არა გვჩრის განათლებას. რამდენი სწავლული კაცია კავკასიაში, ქუთაისში, ერევანში, განჯაში, რომელთაც თავის დღეში არც მუზეუმი უნახავთ, არც ბირჟა, არც ოპერა, არც აკადემია, არც პარლამენტი და რომელთ გონების განვითარებას, მაშასადამე, ცოტა რამ ყოველთვის აკლია. რაღა შორს დავეძებ. მე ერთი შკოლის ამხანაგი მყავს, კაცი, დიდად განათლებული, თითქმის სწავლული, რომლის იშვიათი წერილები ჟურნალს „ივერიაში" იყო დაბეჭდილი. ერთს საღამოს მე და ეს კაცი, აკადემიიდამ ახლად ჩამოსული, დროს გასართობლად წავედით ცირკს. მე სიტკბოებით და სურვილით შევყურებდი მისს დიდის ხნით უნახავს ჰკვიანს თვალებს, მის გონიერს მაღალს შუბლს, რომელსაც ზედ დასტყობოდა ძლიერი მუშაობა ტვინისა. ცირკში ერთად ვიჯექით და სანამ წარმოდგენა დაიწყებოდა—თითქო საგანგებოდ, საკონტრასტოდ — გარტმანის ფილოსოფიაზე ვმუსაიფობდით, იმ ფილოსოფიაზე, რომელიც ჩვენთვის არ ესწავლებიათ სემინარიაში. უცებ არენაზე გამოხტა კლოუნი, გადავიდა ყირამალაზე, წამოხტა, გაიცინა იდიოტურად, ჩვეულებრივად ქეჩოზე ხელი წაიკრა და სალამი მოგვცა. „ხა, ხა, ხა"—შექმნა სიცილი ჩემმა ამხანაგმა. მე ეს სიცილი, ცოტა არ იყოს, მეუცხოვა, მაგრამ ყური არ ვათხოვე. ერთს წამს შემდეგ გამოხტა მეორე კლოუნი და ჩემმა მეგობარმა ხელახლა გააბა ხარხარი. ამან-კი გამაკვირვა და საშინელმა ეჭვმა გამიელვა თავში. დავსწვდი მეგობარს, წავსჩურჩულე ყურში და თურმე ნუ იტყვით: ამ პროფესორს თავის დღეში ცირკი არ ენახა! მოდი და ამისთანა ქვეყანაში კანონიერ აღზრდაზე და სწავლაზე ილაპარაკე. ან რამ უნდა გვასწავლოს ჩვენ? ერთად-ერთი ადგილი, საცა ჩვენ სწავლას ვიძენთ, არის შკოლა, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ასჯერ შკოლაში განაგონს ერთჯერ ცხოვრებაში ნანახი და გამოცდილი სჯობია. ჩვენი ცხოვრება-კი ისე არის წარმართული, რომ ჩვენ იმასაც ვივიწყებთ, რაც შკოლაში შევიძენია.

ბარათაშვილის ნიჭის პატრონი სხვა ქვეყანაში შესანიშნავი კაცი იქნებოდა. ჩვენში-კი მისი ნიჭი ღვარძლით სავსე ნიადაგზე დაეცა და ღვარძლმა... შეიშთო იგი. დრო მაინც რომ დასცლოდა, მეტი მაინც რომ ეცოცხლა იმას, მისი ტალანტი ქართველის ცხოვრების სიფუჭეს სძლევდა და პატარა პოეტისაგან დიდი პოეტი დადგებოდა („დიდის" ხმარებას ჩვენ საზოგადოდ უნდა ვუფრთხილდებოდეთ. ჩვენში არავინ არის დიდი, გარდა რუსთველისა და ისიც იმიტომ რომ კლასსიკურის დროებისა არის). არ დასცალდა და ის დარჩა საშვალის ტანის პოეტად, ყმაწვილ კაცად, რომლის პირიდამ ვაჟკაცის ხმა თუმცა მოისმის, მაგრამ რომლის ყოველს თხზულებას პირველიდამ უკანასკნელამდე ჯერ კიდევ ზედ ამჩნევია მოზარდის კაცის გამოუცდელი მარჯვენა.

როგორც ზემოდ დავინახეთ, ბარათაშვილი, ერთობ დაუდგრომელის ხასიათისა იყო: ხან მეტის-მეტად მხიარული და იქვე, იმავე წამს, წრეს გადასულად მოწყენილი, ლმობიერი და იმავე დროს მრისხანე, მუდამ ოცნებით გატაცებული, მუდამ მთოვარისა და ვარსკვლავების არშიყი, მუდამ სიკვდილში და უარის ყოფნაში მძებნელი სიცოცხლისა და ცხოვრებისა. ამის გამო მისი ფიქრი, მისავით მოუსვენარი, ხან კრწანისის მინდორს დასტრიალებს ზედ, ხან ზღვა-ოკეანეს გადაივლის და ნაპოლეონის აჩრდილს ევლება თავს, ხან გრძნების ამრევის საყურის ჩრდილში მიმალულია სულ განაბულად და ხან ზეცად ალხთება და ვარსკვლავებს იქით ეძიებს სადგურს. რომ იკითხოს კაცმა სად არის დედა-აზრი ბარათაშვილის პოეზიისა, რაში იხატება მოქმედებითი მისსია მგოსნისა, როგორია მისი პოეტური ფიზიონომია, ასის მოპასუხისაგან ასს სხვა-და-სხვა გვარს პასუხს მიიღებთ.

ბარათაშვილს არ შეუძლია დაიქადოს, როგორც პუშკინს, რომ ის არის პოეტი „всѣхъ впечатлѣній бытія". უმთავრესი პოეტური მოტივები რომ გამოხადო მისს ლექსთაკრებას, დაინახავ, რომ მისის ქნარის საგალობელი საგანი არის: სიყვარული, სამშობლო, ბუნება—ორბელიანის მოტივები—და მუდამ მისის პირისაგან განუშორებელი ოხვრა გულისა, ან, როგორც ალექსანდრე ორბელიანი ამბობს, „სინალვლე"[1]).

*) იხ. «ივერია», № 95.

[1]) ალ. ორბელიანი 252.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრონსნების გზა და კვალი ურჩევნოს ქვეყანას, ვინც თავის ღონესა და ნიჭს ალევს ცოდნის შეძენას, რომ მის შემწეობით გადასწყვიტოს გადასაწყვეტი საყოველთაო სასარგებლოდ. ამის მაგიერ მოხერხებული ვაჭ-ბატონები თავიანთ ძალ-ღონეს ხრიკების ძებნას ალევენ, მტრობასა და სიძულვილს სთესავენ, ტყუილსა და ცილის-წამებასავრცელებენო.

განა ეს წესიერი და რიგიანი საქმეა? კითხულობს ბოლოს ბ-ნი ნიკოლაძე. განა ამისთანა საქმეს იგადრებენ ისინი, ვისაც მართლა უყვარს რამე, ვინც მართლა ემსახურება რასმე ერთგულობითა და ერთსულობით? არა, ეს მათი დანაშაული ნაყოფია არა მარტო მათის ბუნებისა და მომზადების ფუქსავატობისა, არამედ თითქმის განსაკუთრებით მათის წვრილმან თავმოყვარეობისა, მათის მადა გაღვიძებულის ბუნება-ხასიათისა.

## რუსეთი

Руск. Жизнь-ის სიტყვით, ამ უკანასკნელ ხანში სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ყოველ დღე მუშაობს კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს გამოიკვლიოს და გამოარკვიოს, თუ როგორ უნდა შეიცვალოს, ან გადაკეთდეს სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო.

— რუსეთის უმაღლესი მთავრობა და რუმინიისა შეთანხმებულან იმის შესახებ, რომ შესდგეს ორისავე სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს, თუ რა ღონისძიებანი იხმარონ ორთავე სახელმწიფომ მდინარე დუნაის დელტაზე კალიის მოსასპობად. დუნაის იმ ალაგასა, სადაც ეს მდინარე შავ ზღვას უერთდება, 400,000 დღიური ველ-მინდვრები სულ კალიას დაუჭერია; ამ ალაგებიდან გადადის ხოლმე აუარებელი რიცხვი კალიისა დარუმინიისა და რუსეთის ყანებს აოხრებს.

— „С.-Петербургскія Вѣдомости“ სწერს: ეხლა სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ყოველ დღე არკვევს ერთს დიდად საყურადღებო საგანს იმის შესახებ, რომ ყოველ საგუბერნიო ქალაქში დაარსდეს სასოფლო-სამეურნეო საბჭო, რომელიც უნდა განაგებდეს იმ გუბერნიის ყოველ გვარ საჭიროებას მეურნეობის მხრივ.

— „Новое Время“ სწერს: სახელმწიფო კანცელარია ჩქარა დაბეჭდავს ორს დიდად საყურადღებო წიგნს: ერთს იმის შესახებ, თუ რა მიზეზებია და მოსაზრებათა ძალით დაწესდა და დაკანონდა ქირით გაცემულ სახლებზე გარდასახადი; ეს ცნობები ამოკრებილია სახელმწიფო საბჭოს ჟურნალებიდგან. მეორე წიგნი იმის შესახებ იქნება, თუ რა მოსაზრებითაა გამოწვეული ის კანონ-პროექტი, რომელსაც სახეში აქვს ალაგმოს მოვახშეობა.

— რუსეთში ძლიერ ბევრია თურმე ყრუ-მუნჯი. გაზეთ Рус. Вѣд.-ის სიტყვით, მთელს რუსეთში ეხლა 56,000 ყრუ-მუნჯია.

— ამას შემდეგ დამსახურებულ კაცთ პენსია ამ წესით მიეცემათ:

1) იმათ, ვისაც წლიური პენსია 100-მანეთამდე აქვთ, ყოველ ოთხ თთვის პენსია წინდაწინ უნდა მიეცეთ; 2) იმათ, ვისაც წლიური პენსია 100-დგან 1000 მანეთამდე აქვთ, უნდა მიეცეთ თვიურად, ყოველთვის 15 რიცხვიდან, და 3) იმათ, ვისაც წლიური პენსია 1000-მანეთზედ მეტი აქვს, აგრეთვე თვიურად მიეცემათ.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ამ ჟამად ფრანგები სულ ერთ თავად გენერალ დოდსზედ ლაპარაკობენ, რომელიც ეხლახან მოვიდა დაგომეიდგან. ხალხი ყველგან აღტაცებით ეგებება დოდსა, ასე რომ საფრანგეთის გაზეთები სწერენ, ეს აღტაცება მეტია, ნუ დავივიწყებთ, რომ დოდსი ნაპოლეონი არ არისო. ხოლო მარსელელებმა-კი ვერაფერი პატივი სცეს ამ გენერალს. მართალია, კარგად-კი დაუხვდნენ, მაგრამ, როცა მთავრობამ სთხოვა მარსელის ქალაქის საბჭოს 100,000 ფრანკი გადასდეთ და დოდსს დიდის ამბით დაუხვდითო, ამაზედ საბჭომ უარი განაცხადა. საბჭოს კომისიამაც, რომელსაც განსახილველად გადაეცა ეს საქმე, უარი სთქვა ამ ფულის დახარჯვაზედ და ეს უარი ასე დაასაბუთა: „რადგანაც დაგომეის ექსპედიცია განაპირებულ ევროპიელ მხრივ განგრძობა იყო იმ უსამართლო სისხლის ღვრისა, რომლის გამოც ჰკიცხავდნენ მეფეს ბეჰანზინსა; რადგანაც ეს ექსპედიცია ხოლო იმისთვის იყო დაწყებული, რომ საბრალო ჯარის-კაცთა სისხლი დაეღვარათ და ზოგიერთ კერძო კაცთა სასარგებლოდ ის ფული დაიხარჯა, რომელიც არ ემეტებათ მუშათა კეთილ-დღეობისთვის; და რადგანაც არავითარი შესაწყნარებელი საბუთი არ არის გენერალ დოდს ისეთი პატივი ვცეთ, რომელიც არ ეღირსათ საბრალო ჯარის-კაცთ—ავადმყოფთ და დაჭრილთ, როცა დაგომეიდგან მარსელზედ შინ დაბრუნდნენ;—ყველა ამ მიზეზების გამო საბჭომ გადასწყვიტა: 1) დოდს პატივი არა სცეს; 2) მოკლულ და დაჭრილ ჯარის-კაცთა ცოლშვილს გამოუცხადოს თანაგრძნობა, ხოლო ექსპედიციის ორგანიზატორებს—უკმაყოფილება.

**ინგლისი.** შვიდის დღის კამათობის შემდეგ ინგლისის პალატამ შეიწყნარა ჰომრულის ბილლის პირველი მუხლი. ამ მუხლში სწერია: იმ დღეს, რომელიც აღნიშნულია ამ კანონში, დაწესებულ იქმნას ირლანდიაში ორი პალატა: საკანონმდებლო საბჭო და საკანონმდებლო კრებული“. ბილლში სულ 40 მუხლია. მაშასადამე, თითოეულ მუხლზედ კამათობამ რომ ერთს კვირას გასტანოს კანონ-პროექტის განხილვას მთელი წელიწადი დასჭირდება. მაგრამ იმედია, რომ დანარჩენ მუხლების განხილვას იმდენი დრო არ დასჭირდება. პირველ მუხლის განხილვას იმიტომ მოუნდა ბევრი დრო, რომ ოპოზიცია მთელ კანონ პროექტის შესახებ იბრძოდა. აშკარა იყო, ოპოზიციას სურდა და ეხლაკა სურს ყოველ გვარ ღონისძიებით დააგვიანოს ბილლის განხილვა. სწორედ ამით აიხსნება ჩორჩილის სურვილი, ჯერ ბილლის მეცხრე მუხლი განვიხილოთ და შემდეგ პირველიო. მაგრამ ოპოზიციის ყოველ გვარმა ცდამ ჯერ-ჯერობით ამაოდ ჩაიარა: არც ერთი ახალი აზრი არ წარმოუთქვამს ოპოზიციას. მთავრობის მომხრენი-კი მეტად ზრდილობიანად იქცეოდნენ და ოპოზიციას სრულს უფლებას აძლევდნენ ლაპარაკისას, ისეთს უფლებას, რომ თითონ ოპოზიციამ უკმაყოფილება გამოაცხადა, მთავრობის მომხრეთ პირობა შეუკრავთ დავჩუმდეთო.

ბილლის საქმეში ჯერ-ჯერობით მთავრობა იმარჯვებს და 75 ხმა მეტი აქვს, ვიდრე ოპოზიციას. სხვაფრივაც დამარცხდა ოპოზიცია. ეხლა მუშები მიემხრნენ კაბინეტს. ერთს მუშათა მომხრე გაზეთში (Reynolds Newspaper) დაბეჭდილია: მთავრობა მოწადინებულია ხალხის სურვილი შეასრულოს, მაგრამ არ ძალუძს, რადგანაც სხვა-და-სხვა წოდებანი ხელს უშლიან. ამ გვარად ოპოზიციამ ვერც ხალხი მიიმხრო და ვერც ნდობა დაუკარგა კაბინეტს. ამ ჟამად ოპოზიციის სურვილი ხოლო ის არის, რომ ბილლის განხილვა დააგვიანოს და შეაფერხოს. ხოლო მთავრობა, ეჭვი არ არის, ეცდება, რაც შეიძლება მალე იქმნას განხილული ჰომრულის ბილლი და, თუ ოპოზიციამ თავისი არ დაიშალა, უკანასკნელს საშუალებას მიჰმართავს და, კონსტიტუციის ძალით, კამათობას შესწყვეტავს ხოლმე.

### წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ იქვენის გაზეთის საშუალებით გამოვუცხადოთ დიდი მადლობა ყველას, ვინც შემოსწირა ქვემო-რაჭის წიგნთ-საცავს სხვა-და-სხვა წიგნები: აი სიაც შემომწირველთა: ბ. პ. კვიცარიძემ თერთმეტი წიგნი ქართულს ენაზე, ღირებული 4 მან. 45 კაპ., ბ-ნ ნიკოლოზ კ. მესხმა—ცხრა წიგნი ქართულს ენაზე და ორიც რუსულ ენაზე—3 მან. 40 კაპ., ბ. თ. ენუქიძემ—ოცდაორი წიგნი ქართულს ენაზე და სამიც რუსულ ენაზე—6 მან. 40 კაპ., ქ. ლიდა ჭავჭავაძის ასულმა—ოთხი წიგნი ქართულს ენაზე—1 მან. 20 კაპ. მღ. ვ. დოლაბერიძემ—თერთმეტი წიგნი ქართულს ენაზე—4 მან. 40 კ., დიაკ. ისიდორე სვანიძემ—სამი წიგნი რუსულ ენაზე და ორიც ქართულს ენაზე, ღირ. 2 მან., ბ. მ. ზ. სხირტლაძემ ხუთი წიგნი ქართულს ენაზე—1 მან. 30 კ. მღ. ნ. გიორგაძემ სამი აბაზი ფულად.

ქვემო რაჭის წიგნთ-საცავის დამაარსებელ ამხანაგობის წევრთაგანი ბლ. მღ. ნიკიფორე კანდელაკი.

93 წ.

8 მაისს.

### პეტერბურგის ბირჟა, 7 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,72 | 7 3/4 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 154 | 155 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — ,, | 1,16 | — , |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 245 |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 222 |
| 4% მესამე სესხისა . | 99 3/8 | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ძომგ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 193 1/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | 100 1/4 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | 101 | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | 100 1/4 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების | ,, | — ,, | 97 |


**გამოსადეგი ცნობანი**

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.


სხვა ყველაფერი შემთხვევითია იმის კალმის ქვეშ. ის სრულებით არ დასდევს იმას, რაც მის გარეშე ხდება. ეგრედ წოდებული დღის ვაჰამი მისთვის არ არსებობს; არც საზოგადოებრივი და სახელოვნო კითხვები. საუკუნო იდეალები ჭეშმარიტებისა და მშვენიერების, ორბელიანისაგან ოდნად შენიშნული, მისთვის არ ნათობენ. ოლიმპი არსად არის, სადა იყოს სუფევა ჭეშმარიტის პოეზიისა, სადა სინტეზი განისვენებდეს.

უმთავრესი საგანი ბარათაშვილის პოეზიისა, რომლითაც იგი განსხვავდება ყველა სხვა ჩვენის პოეტებისაგან, არის კაეშანი,

> მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ
> ჩივილი...

ეტყვის პოეტი თავის ჩონგურს, ე. ი. ლირას და რაც უნდა დაუკრას პოეტმა ამ ჩონგურზე, იმის სიმები მარტო ოხვრას და სულის კვეთებას მოსთქვამენ. ბუნებას, სამშობლოს, თვით სიყვარულს, ე. ი. სულ, ყველაფერს, რასაც აღუფრთოვანებია და წარუტყვევნავს მისი სული, რასაც სიამოვნებით და სიტკბოებით აღუვსია მისი არსება, მაინც რაღაც აჩრდილი აქვს ზედ გადაკრული, რაღაც ბნელი ზენარი გადაფარვია. მისთვის მთაწმიდა იმიტომ არის ძვირფასი, რომ იგი არის „გულ-დახურულთა მეგობარი“, განმაქარვებელი „მჭმუნვარებისა“; მტკვარი—იმიტომ, რომ იმის არე-მარე მოწყენილია და იმის ნაპირზე სევდიანი ირთობს ფიქრებსა. სამშობლოს ისტორია ბედნიერის დღის მაგიერ აძლევს მას საგნად ოცნებისა საქართველოს აოხრებას და მეფე ერეკლეს საფლავს.

სიყვარული:—მდუღარე ცრემლით მტირალა ქეთევანს („ქეთევან“), მრისხანე ბედის ვარსკვლავს („ჩემს ვარსკვლავს“), სატრფოს, ცრემლით მკრთოლარე თვალებს (***), აღმოსავლის მნათს, შავბედისაგან დაღამებულის გულის გამთენებელს და სხვა, და-სხ.

მისი ყოველდღიური ლოცვაც იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთმა დაუნთქას მას ცხოვრების წყალში . . . . სალმობანი გულისა სენთა.

სულ ყოველგან ცრემლი, მჭმუნვარება, ოხვრა, კვნესა გულისა.

ლექსებში „სული ობოლი“ „სული ბოროტი“ და „ჩემს მერანს“ კაეშანი ბარათაშვილისა აღწევს უმაღლეს ხარისხამდე. მისმა ცხოვრებამ დაგვანახა, რომ ეს კაეშანი მის ხელში „უკანონოდ შობილი შვილი არ იყო ურცხვის დედისა“. ისეთს მაღალს ნიჭს, როგორიც იყო ბარათაშვილი, როცა ცხოვრების გზაზე ის გარემოება გადაეღობება, როგორიც დაუხვდა ამას, შეუძლებელია პოეტური ბუნება არ განუბოროტდეს და კაცმა არ დასწყევლოს ეს ქვეყანა, რომელიც სხვისთვის დედაა და მისთვის დედი-ნაცვალი. მაშინ, როდესაც ქვეყანა ლხინობს, ესეთი კაცი გაბუტულია და მარტო ზის, ქვეყნის მგლოვიარე. ეს არის მიზეზი, რომ ბარათაშვილი ყოველთვის ნაღვლიანია და მჭმუნვარებით სავსე. რაც პირველად იმან სცნო წუთი სოფელი, ის თვისსა მხვედრს ეძიებს, მაგრამ ვერ ჰპოვებს და მით კაეშანს ველარ იშორებს. ის არის „მწირი სოფლისა, მაშვრალი მისითა ღელვით“; ის „ჰკუით ურწმუნოა, გულით უნდო, სულით მაშვრალი“; სიამენი სოფლისა მას ელტვიან; ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება მას მოკვდომია; მისთვის „ოხვრა შვება არის“; ის „საბრალოა, როგორც სულით ობოლი“; იმას უნდა გაექცეს „სწორთა და მეგობართა“, დასტოვოს სამშობლო და იქ დალიოს სული, სადა არც სატრფოს შეეძლოს დატირება, არც „სწორთა და ნათესავთა“. ერთის სიტყვით, ეს პატარა კაცი ამ ვეებერთელა და ხმაურობით სავსე ქვეყანაში მარტოა და მარტო.

ჩვენის პოეტის სულით ობლობა იგივეა, რაც არის... ბაირონის მარტოობა სულისა. განსხვავება მხოლოთ იმაში მდგომარეობს, რომ ბარათაშვილს სურვილი გასცუდებია, მიზანი მიუწვდენელი დარჩენია და მისი განმაპატიებელი ქვეყანა შესძულებია; ბაირონს კი ყველაფერი უნახავს, ყველა სურვილი ახდენია და ყველაფერი მოსჭარბებია ქვეყანაზე. ერთი ცხოვრების კიბეს ქვემოდამ შეჰყურებს, შურით განმსჭვალული, მეორე ზემოდამ დაჰყურებს, ზიზღით აღსავსე. მთაწმინდის ვერანა ადგილებში განცალკევებას, მტკვრის პირად განსასვენებელის ადგილს ძებნას ბარათაშვილი სულით მარტოობას ეძახის; ბაირონი-კი ამგვარ განცალკევებას ბუნებასთან ერთობას უწოდებს. ის ამბობს სულით ობლობაზე: „კლდეებზე ჯდომა, ზვირთების ყურებით გატაცება, ტყე ტყე სიარული, უფსკრულში ჩასვლა, წყალ-ვარდნილის თავდაღუნვით ყურება—მარტოობა-კი არ არის სულისა, არის მხოლოდ ბუნების თანაზიარება; მარტოობა სულისა ის არის, როდესაც კაცი ქვეყნის ხმაურობაში სცხოვრებს და ქვეყანაში-კი არავის უყვარს, არც არავისი სიყვარული თითონ მეეძევა გულში“. შემდეგი ხანა „დონ-ჟუანისა“ უფრო ნათლად გამოსახავს ბაირონის სულის მარტოობას.

> Но тотъ, кто въ шумномъ вихрѣ
> свѣта,
> Одной усталостью томимъ,
> Идетъ безъ ласки, безъ привѣта,
> Никѣмъ не знаемъ, не любимъ,
> Кто никогда любимцамъ счастья
> Не повѣрялъ своей тоски,
> Не вѣдалъ теплаго участья
> И честной дружеской руки,
> Кто посреди льстецовъ холодныхъ,
> Ханжей безчувственныхъ живетъ,
> Для всѣхъ чужой,—лишь только тотъ
> Въ своихъ мученіяхъ безплодныхъ
> Сказать бы съ тайнымъ вздохомъ могъ,
> Что онъ на свѣтѣ одинокъ. [2])

ამ გვარის კაეშანით ბარათაშვილი ყველა ჩვენ მოლექსეებზე უფრო დიდია. მთელს ქართულს მწერლობაში არ არის მეორე იმისთანა ლექსები, როგორიც არის „ჩემს მერანს“, „სულო ბოროტო“...

ი. მეუნარგია

(შემდეგი იქნება)

[2]) თავი II. XXV—XXVI.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის მოურავისაგან

ამ მაისის 16-ს, კვირას, დილის 9 სათზე, სახელმწიფო თეატრში, ინჟენერების ქუჩაზედ, დანიშნულია კრება ქალაქის ამომრჩეველთა, რათა კენჭი ჩამოუტრონ იმ პირთა, რომელნიც დასახელებულნი არიან და არჩეულ უნდა იქმნან ხმოსნებად ოთხის წლით, 1893—1897.

ბ-ნთ ამომრჩეველთ ეუწყებათ, რომ კრება მაშინ დაიწყება, როცა 97 ამომრჩევი გამოცხადდება; ამომრჩევნი რიგით, კრებაზედ მისვლის კვალად, იქმნებიან მიწვეულნი ყუთებთან კენჭის მისაცემად.

რაგანაც ბილეთების მიცემა და, უმეტესად, განხილვა რწმუნებისა და აპეკუნობის ფურცლებისა კრების დროს საძნელო იქმნება, ამისათვის ბ-ნთ ამომრჩეველთ შეუძლიანთ წინადვე მიიღონ ქალაქის გამგეობისაგან ბილეთები კრებაზედ დასასწრებლად.

აგრედვე ადგილობრივის გაზეთების რედაქციებსაც შეუძლიანთ თავის წარმომადგენელთათვის მიიღონ წინადვე ქალაქის გამგეობისაგან ბილეთები კრებაზე დასასწრებლად.

---

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (150—55)

---

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში „ქართველთა ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## ქრისტინე

მოთხრობა

**ე. ნინოშვილისა**

გამოცემული

პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ

**ფასი ერთი აბაზი**

---

ცოტა-ღა დარჩა და ისყიდება წერა-კითხვ. გამავრ. საზოგ. და ამხანაგობის მაღაზიაში

### საქართველოს კალენდარი

1893 წლისათვის

ფასი 45 კ. (ყდით 55 კ.)

კალენდარი შეიცავს 560-მდე წმინდათ დასტამბულ გვერდს და დასურათებულია გრიკელის ნახატებით.

უბის წიგნი 1893 წლისთვის

„სულ გაიყიდა“

ქართული

მიწერ-მოწერის კრებული

ფასი 40 კ. (ყდით 50 კ.)

ისყიდება იმავე წიგნის მაღაზიაში.

---

### ახალ-სენაკში

კ. თავართქილაძის ახალ სტამბაში დაიბეჭდა და დაურიგდა ყველა წიგნის მაღაზიებს, სადაც-კი ქართული წიგნები ისყიდება, შემდეგი ახლად გამოცემული წიგნები:

1) „ჩანგი“, პირველ გამოცემიდან გადმობეჭდილი და მრავალი ახალი ლექსების და სცენების დამატებით, მშვენიერი ყდით, ფასი 1 მ.

2) „გამიჯნურებულ ქალ-ვაჟის მიწერ მოწერა“, ვინმე მესხისა, 5 კ.

3) „არსენას ლექსი“ სურათით 5 კ.

4) „ვეფხის-ტყაოსანი“, მეორედ გამოცემული ქ. ოზურგეთში, გასწორებული, მოკლე ბიოგრაფიით და სურათით, 40 კაპ.

5) „რამდენიმე მოთხრობა“, ნინოშვილისა, 50 კ.

6) „სიმონა“ მისივე 30 კაპ.

37) „ზანგის სამკვიდრო“, თარგმანი დათიკო ვერმიცანაშვილისა, 10 კ. და სხვა-და-სხვა წიგნები.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია [illegible] მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილის . . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, [illegible], III და IV ტომი თითო ტომი. | 1 | 40 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა | „ | 30 |
| ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი, ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| სამი ცელქ, საყმაწვილო სურათეიანი წიგნი შ. მღვიმელისაბი . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |

---

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათ სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, $12^1/_2$—1 საათამდის, სნეულებანი: საბებიო და დედათ სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ა. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. კ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---

## საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა,** და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების საგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—30) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

---

ახლად გამართული

## პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ს-ედღოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ბაი გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—50)

---

## რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

**(ძირის ფული 1.000,000 მან.)**

ისყიდება $5^0/_0$-იანი **მოგებიანი ბილეთები** I, II, და III სესხისა თვეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტიც იხადონ თთვე-და-თთვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

საგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—20) აგენტი დ. ქ. თუთაევი.

Доз. ценз. Тифлисъ, 11-го Мая 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.